საქართ. [illegible] სარევოლიუციო [illegible]

მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 100,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 500,000 უკანასკნელზე 300,000 მ. განცხადება 10.000მ. ნონპარელის სტრიქონი. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება 10—12 ს. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტისყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 50ათ მან. ▭ პროვინც. 5000 მან.

ხუთშაბათი, ნოემბრის 2
1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● რუსთაველის თეატრი ●

სახელმწიფო აკადემიური დრამა

ხუთშაბათს 2 ოქტომბერს

„თამარ ცბიერი"

დადგმა აკაკი ფაღავასი.

დასაწყისი სრულ 8 საათზე

კრ. 491 1—1

სახელმწიფო აკადემიური თეატრი

ოპერა

ხუთშაბათს 2 ნოემბერს

ფაუსტი

პარასკევს 3 ნოემბერს

ჯამბაზები და კარნავალი

დასაწყისი სრულ 8 ს. მე 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.
კასსა ღიაა 11—2 სა-მდე და საღამოს 6-დან წარმოდგენის დამთავრებამდე.

კრ. 490 2—2

საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი

V

წინა წერილებიდან მკითხველისათვის საკმაოდ ნათელი უნდა იყოს,—რა განსხვავებაა ჩვენს და პროექტს შორის. საბჭოთა რესპუბლიკებს შორის რევოლიუციონური გზით დამყარებულ ერთი ერთობას უნდა მიეცეს იურიდიული ურღვევი გამოხატულება. ეს უნდა მოხდეს ურთი-ერთშორის შეთანხმებისა და ხელშეკრულების გზით. ეს პრინციპი კი ჰგულისხმობს ყველა რესპუბლიკების თანასწორ უფლებიანობას. მოკავშირე რესპუბლიკების საერთო საქმეთა მოსაწყობად და წარმართავად უნდა მოეწყოს შეთანხმებული ორგანო, რომელშიაც ყოველი საბჭოთა რესპუბლიკა წარმოდგენილი იქნება თანასწორი ხმით. კავშირის წევრ რესპუბლიკებს შორის კიდევ პოლიტიკური სახელმწიფოებრივი ხასიათის კავშირის არსებობა არ შეიძლება. ყოველ რესპუბლიკას სრული უფლება რჩება კავშირიდან გასვლისა.

პროექტითაც კავშირის ყოველ წევრ რესპუბლიკას სრული უფლება აქვს გავიდეს კავშირიდან, თუ მისთვის ამას სასარგებლოდ და საჭიროდ დაინახავს. ეს ძალიან დიდი უფლებაა არის, რაც სრულ გარანტიას აძლევს არა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკას დაიცვას თავის ინტერესები და, თუ ამაში კავშირი ხელს უშლის და მის ინტერესს მოინდომებს,—გავიდეს კავშირიდან. მაგრამ რომ ამ უფლებას რამე ძალა ჰქონდეს, რომ მას ანგარიში გაუწიოს ყველა მოკავშირეებმა, ამისათვის აუცილებელია ერთი პირობა: ყოველი რესპუბლიკის მთავრობა სრულიად დამოუკიდებელი და თავისუფალი უნდა იყოს ამ საკითხის გადაწყვეტაში. უნდა შეიქნეს პარტიული და პოლიტიკური ისეთი პირობები, რომ ცალკე რესპუბლიკების ნებისყოფაზედ არავინ არ ახდენდეს ზეგავლენას.

ჩვენ აუცილებლად ისეთი ფორმა უნდა გამოვნახოთ საბჭოთა რესპუბლიკებისა, რომ თუ არ მოისპოს, ყოველ შემთხვევაში, დაისუსტოს და არ განვითარდეს არც მპყრობლური რუსული შოვინიზმი და არც შოვინიზმი წვრილ ერთა ნებითა ცრუ და მეშვე პატრიოტებისა, რომელთაც რუსეთის და რუსულის გაგონებაზედ პირზე დორბლი ადგებათ და ჯიბეში მუშტებს კუმშავენ.

ძალიან ხშირად შენიშნავენ, რომ ჩვენ ძალიან გვეშინია ცენტრალიზმის და ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი უფლება დავუტოვოთ ცალკე რესპუბლიკებს. ეს ეთი სიფრთხილე გამართლებული იქნებოდა, რა თქმა უნდა, რომ სოციალიზმი ან კომუნიზმი იყოს დამყარებული. მაგრამ ვინაიდან ეს ჯერ ასე არ არის და იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ კაპიტალისტურ პრინციპებს საბჭოთა რესპუბლიკების ცხოვრებაში, ამიტომ ჩვენი სიფრთხილე სრულიად კანონიერი და გასაგებია. ამ სიფრთხილეს გვავალებს მწვავე გამოცდილებაც, რომლის მაგალითებს აქ არ მოვიყვანთ, არც ის გვავიწყდება, რომ კომუნისტებშიაც არიან რუსოფილები, ველიკორუსების ბატონობის მომხრე ნაციონალისტები. ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ წამოყენებული პრინციპები დააკმაყოფილებს ყველა ერების სამართლიან მოთხოვნილებებს და საკვებს არ მისცემს არც ერთი მხარის შოვინისტურ ელემენტებს.

თმ. ა.

ნარკვევი

ფაშიზმი

პოლიტიკური მართველობის სათავეში მოქცევით ფაშიზმმა მოიხვეჭა დიდი მნიშვნელობა არა მარტო იტალიაში, არამედ მთელ ევროპაშიაც. ფაშიზმი დღეს პოლიტიკურ ძალად გადაიქცა ევროპის კონტინენტზე. „რიფ. ფენ" (397) ეხება ფაშიზმის განვითარების მომენტებს, რომელიც მოჰყავს შემოკლებით.

ამ ჟამად ფაშიზმი წარმოადგენს იტალიის პოლიტიკური ცხოვრების გაბატონებულ ძალას. მან შეიძლო თავისი შეუწყვეტელი ბრძოლით თავის თავისთვის ისეთი „სამარტოო" ადგილი საერთაშორისო მასშტაბში, რომ გადაიქცა იდეალად ყველა სახელმწიფოში ყველა რეაქციონური ბანდების. ორი წლის წინად არც იტალიაში და არც საზღვარ-გარედ არაფერი არ იცოდნენ ფაშიზმის შესახებ. ფაშიზმი ჩაისახა 1920 წ. მილანში მუსოლინის ხელმძღვანელობით, რომელიც იყო წინად სოციალისტური პარტიის ლიდერი, ომის დროს გადაიქცა სოციალ-პატრიოტების ექსტრემისტების პარტიის მეთაურად. ეს იყო პირველად მცირე პატარა წვრილი ჯგუფი. როდესაც იტალია გამოვიდა გამარჯვებული ომიდან, მაგრამ ვერ მიიღო ვერავითარი უპირატესობა ამ გამარჯვებიდან, ამ ჯგუფმა მოითხოვეს გატარება იტალიაში ზედმეტი ნაციონალისტური და ზედმეტი იმპერიალისტური პოლიტიკის. მთელი ბრძოლა ფაშისტებისა თავიდანვე მიმართული იყო სოციალისტური პარტიებისა და პროლეტარულ ორგანიზაციების წინააღმდეგ. ფაშისტების აზრით, ესენი თავიანთი რევოლიუციონური მისწრაფებით ასუსტებდნენ იტალიის მნიშვნელობას საერთაშორისო პოლიტიკაში. დიდი ხნის განმავლობაში ფაშისტები არ იწვევდნენ თანაგრძნობას იტალიის მცხოვრებთა შორის. ეს იყო იმ დროს, როდესაც ბურჟუაზია გრძნობდა თავის სრულს უძლურებას, პროლეტარიატი კი, სოციალისტური პარტიის მეთაურობით, მედგრად მიდიოდა ეკონომიური გამარჯვების გზით.

მუსოლინი და მისი მიმდევრები იმდენად გონიერები აღმოჩნდნენ, რომ მშვენიერად გამოარკვიეს, რომ სოციალისტური პარტიების მეთაურები სრულიებით არ იყვნენ მზად რევოლიუციისათვის და რომ პროლეტარიატი, მართალია ჯერ კიდევ ბატონობდა ქუჩებში, მაგრამ ვერ გაუძლებდა შეტევას ზოგად მოწყობილ რეაქციის ორგანიზაციისას. და ფაშისტები შეუდგნენ ბრძოლას თანდათანობით, ხან აქ, ხან იქ ძალდატანებით არღვევდნენ მუშათა დემონსტრაციებს.

1920 წლის დასასრულში იტალიის პროლეტარიატმა მიაღწია დიდ გამარჯვებას; მეტალისტმა მუშებმა დაიპყრეს ქარხნები, სასოფლო-სამეურნეო მუშებმა კი—მსხვილი მეურნეობა. მიუხედავად ამისა, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა, რომელთაც არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ სერატიმ და მისმა მიმდევრებმა, შესძლეს იტალიის პროლეტარიატის ამ დიადი გამოხმაურების შეჩერება, არ განვითარება პოლიტიკურ რევოლიუციად და ჩაიყვანეს ის ბრძოლის ვიწრო ფარგლებში. სოც.-დემოკრატების ბელადებმა ხანგრძლივი მოლაპარაკებები გამართეს მთავრობასა და ბურჟუაზიასთან და ურჩევდნენ მუშებს დაეტოვებინათ თავიანთი პოზიციები,—გაეწმინდათ დაპყრობილი ფაბრიკები და ქარხნები. მიუხედავად ამისა, ბრძოლის დროს ბურჟუაზია მეტად დაშინდა და ყოველგვარ ზომებს მიმართა პროლეტარიატის მოძრაობის ჩასაქრობად. ფაშისტებს მისცეს ამისათვის ყოველგვარი საშუალებანი. მრავალი მილიონები გადასცეს ფაშისტებს ახალი ჯგუფების შესამუშავებლად და მათი შესაიარაღებლად. მთავრობა, გარეგნულად თითქოს ნეიტრალურ პოზიციაზედ იდგა, მაგრამ მთელი ჟანდარმერია და ოფიცერობა აძლევდა თავიანთ ძალებს ფაშისტების განკარგულებაში.

1921 წ. გაზაფხულმა იხილა ფაშიზმის გაძლიერება იტალიაში: ერთის მხრით უმუშევრობამ, რომელიც გამოწვეული იყო ნაწილობრივ ეკონომიური კრიზისით, ნაწილობრივ კი ხელოვნურად შექმნეს მეწარმოებლებმა, შექმნა მთელი კადრი ლუმპენ პროლეტარიატისა, რომლებმაც გაამრავლეს ფაშისტების ბანდების რიცხვი. მეორეს მხრით, ფაშისტებს მიემხრო უფრო მეტი ელემენტები საშუალო წოდებიდან, წვრილი და მსხვილი პოლიტიკური კარიერისტები და ჟანდარმები.

ამ გვარად იზრდებოდა ფაშიზმი. თან და თანობით მთელი რაიონები დატოვებული იყო ფაშისტების ტერორის ქვეშ. ამასთან ერთად ხდებოდა მასიური მკვლელობა პროლეტარებისა და სრული დარბევა მუშათა კლუბების, რედაქციების და სხვ. იდევნებოდა მუშათა ლიდერები და ორგანიზატორები. სახელმწიფოს ავტორიტეტი იხრებოდა ფაშისტების წინაშე. ქალაქისა და სოფლის მუშათა საბჭოები, რომელნიც თავისუფალი არჩევნების წყალობით სოციალისტების ხელში იყო აქა-იქ, ფაშისტებმა დაიპყრეს იარაღით ხელში. უკანასკნელს ხანებში საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთს რაიონებში, ფაშისტებმა იარაღით ხელში აიძულეს მთელი პროვინციის ორგანიზაციები გადასულიყვნენ მათ რიგებში.

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ფაშიზმი არა ყოფილა სავსებით გაერთიანებული. მათ დიდი ხნიდან შეეძლოთ სახელმწიფო ძალა-უფლება ხელში ჩაეგდოთ საგნებით აჯანყების საშუალებით, მაგრამ მათმა ლიდერმა მუსოლინიმ არჩია პარლამენტარული ბრძოლის გზა დროებით.

ფაშიზმში სამ მიმდინარეობას აქვს ადგილი: 1) მსხვილი აგრარიები და კაპიტალისტური ელემენტები მოითხოვენ მკაცრ რეაქციონურ პოლიტიკას, მუშების ამოხოცვას, გაფიცვების უარყოფას და სხვ. 2) წმინდა ნაციონალისტური ელემენტები მხარს უჭერენ დ'ანუნციოს მერყევ პოლიტიკას, 3) მუშათა ორგანიზაციები ფაშისტებისა, რომელნიც წინად თითქმის სავსებით ეკუთვნოდნენ სინდიკალისტებს და ანარქისტებს, აწარმოებენ კლასიურ პოლიტიკას.

ჟურნალ-გაზეთებიდან

„მუშათა ბელადები" და... ეპისკოპოსები. როგორც გაზ. „მუშა" გადმოგვცემს, ინგლისის პროფესიონალური კავშირების კონგრესის საპატივსაცემლად ლივერპულის ეპისკოპოსმა გადაიხადა სპეციალური პარაკლისი და წარმოსთქვა სიტყვა, რომელიც უძღვნა ამ ყრილობას. თავის მხრით მე-2 ინტერნაციონალის ლიდერმა ჰენდერსონმა არ დაიდვა ვალი და წარმოსთქვა სიტყვა ადგილობრივ ეკლესიაში.

ფაშისტების ახალი მუშაობა. იტალიელი ფაშისტები შეუდგნენ საგარეო პოლიტიკას. პროვინცია ტიროლში, რომელიც იტალიამ მიიღო ავსტრიისაგან, ფაშისტებმა განავითარეს ენერგიული მუშაობა, არა მარტო სოციალისტების, კომუნისტებისა და საერთოდ მუშათა ორგანიზაციების წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე მთელ გერმანელ ავსტრიელ მცხოვრებთა წინააღმდეგ. ხელშეკრულებით გერმანელების ეროვნული უფლებანი ამ პროვინციაში უზრუნველყოფილია იტალიის მთავრობის მიერ. მათ რიცხვში სკოლა, დაბალი და საშუალო სკოლაც და უნივერსიტეტისაც. მიუხედავად ამისა ეს ვალდებულება იკისრა მთავრობამ, მაგრამ... არა ფაშისტებმა. ბოცენში ფაშისტებმა დაიკავეს ყველა გერმანული სკოლის შენობები, და მთავრობა, როგორც ყოველთვის, „სუსტი" გამოდგა, რათა ხელი შეეშალა ამ ბანდებისათვის. ამის საპასუხოთ ავსტრიელებმა ინსბრუკში ჩაიდინეს იგივე იტალიური სკოლების მიმართ და სცემეს რამოდენიმე ფაშისტს. ამის შემდეგ დიდი შეიარაღებული ბანდები ფაშისტებისა გროვდებიან ავსტრიის საზღვართან და ემზადებიან ინსბრუკზე თავდასასხმელად, რათა „დაეხმარონ იტალიელ მცხოვრებთ"; ფაქტიურად მათი მიზანი იმაშია, რომ დაიკავონ ქალაქი იტალიური მთავრობის თანხმობით, რომლისაკენ უკვე კარგა ხანია ისწრაფვის იტალია.

მუშათა მოძრაობა ჰოლანდიის ინდოეთში. 1912 წ. გლეხებმა კუნძულ იავაზე შექმნეს მუსულმანური ორგანიზაცია სარეკატ ისლამი; რაოდენობა მისი მიმდევრებისა შეადგენს ორ-სამ მილიონს. მის წიაღში აღორძინდა ორგანიზაცია, რომელიც დგას სად პროგრამაზე კლასობრივი ბრძოლისა და რომელსაც მიღებული აქვს სახელწოდება ინდოეთის კომუნისტური პარტიისა. მასში ითვლება 10.000 წევრი და ძალიან გავლენიანია სარეკატ ისლამში. კომუნისტებმა დაისახეს ამოცანად პროფმოძრაობის განვითარება. რკინის გზელთა პროფკავშირი, რომელიც დაარსებულია 1917 წელს, ითვლის 16.000 წევრს და ემხრობა წითელ პროფინტერნს. ამის გარდა შემდეგი პროფკავშირებია: ნავთსადგურის მუშების (ათი ათას წევრი), მბეჭდავების (6 ათასი), მეტალურგიის (ათი ათასი), შაქრის მრეწველობის (ოცი ათასი), ნავთის (ორი ათასი), სახელმწიფოებრივ წარმოებებში (6 ათასი) და სხ. პროფკავშირების ორგანიზაციამ გამოიწვია სამუშაო ხელფასის გადიდებაც. მათ შესძლეს მუშებში სოლიდარული სულის განვითარება. 1919 წლიდან არსებობს პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტი, რომლის თავმჯდომარეა ამხ. ვერგსმა, კოლონიის კომუნისტური პარტიის მდივანი. პროლეტარიატის ორგანიზაციასთან ერთად არის მოძრაობა ჰოლანდიელ კოლონიურ მოხელეებსა და მოსამსახურეებში, მაგრამ ის ყვითელი ინტერნაციონალის სულით არის დავადებული.

იტალიის ამბები

მუსოლინი—დიქტატორი

კროიდონი 1 ნოემ. მუსოლინი გაბედულად და სწრაფად მოქმედობს. იგი ჩავიდა რომში დილის 11 საათზე, ნაშუადღევს 3 საათისთვის შეარჩია კაბინეტი. 5 საათზე ინახულა მეფე. 7 საათზე აცნობა მინისტრებს მათი დანიშვნის შესახებ, ხოლო ღამის 11 საათზე გაიმართა უკვე ახალი კაბინეტის პირველი სხდომა. ხელისუფლების ასეთ სისწრაფით შეცვლას იტალიაში ჯერ ადგილი არ ქონია,—მუსოლინმა 12 საათის განმავლობაში გააკეთა ის, რაც ჩვეულებრივ 3 დღეს გრძელდება. ამგვარად მუსოლინის მოქმედებამ მიიღო დიქტატორის ხასიათი.

კომუნისტებთან შეტაკება

ჰანოვერი 1 ნოემ. რომიდან იტყობინებიან, რომ 30 ოქტომბერს იქ მოხდა შეიარაღებული შეტაკება ფაშისტებსა და კომუნისტებს შორის. მონაწილეთა დიდი რაოდენობა დაჭრილია, მოკლულია ათი კაცი.

სოციალისტების გაქცევა.

ჰანოვერი. ნოემბ. 1. მილანიდან იტყობინებიან, რომ ბევრი გამოჩენილი სოციალისტები გაიქცნენ ავსტრიაში ტიროლის ოლქში.

მუსოლინის რეფორმები.

ჰანოვერი. თავის პროგრამის 1 მუხლის თანახმად იტალიის კაბინეტი აცხადებს არმიის რეფორმას, ამერიკასთან ფინანსიური მოლაპარაკების და გამარჯვების აღსანიშნავად 4 ნოემბრის ზეიმის მოწყობის შესახებ.

იტალია და ინგლისი.

ჰანოვერი. ნოემბ. 1. თუმცა მუსოლინი იძლევა დაპირებას აწარმოოს მეგობრული პოლიტიკა მოკავშირეების მიმართ, მაგრამ მაინც ლონდონში ფიქრობენ, რომ განხეთქილება მოხდება სამხრეთ სლავიასთან და ინგლისთან ხმელთაშუა ზღვის საკითხის გარშემო.

სფორცას გადადგომა.

კროიდენი. 1 ნოემბერი. კაბინეტის შეცვლის გამო, გრაფ სფორცამ დეპეშით აცნობა მუსოლინს თავის გადადგომის შესახებ.

ბორდო. 1 ნოემბერი. გაუგზავნა რა მუსოლინს ცნობა თავის გადადგომის შესახებ, სფორცამ უსურვა ახალ კაბინეტს ყოველგვარი წარმატება და დაუმატა, რომ საპასუხისმგებლო ადგილები უნდა ჩაბარდეს ისეთ პირებს, რომელნიც ყოველ მხრივ იზიარებენ ახალი მთავრობის თვალსაზრისს, რის გამოც სფორცა სთვლის თავს იძულებულად დასტოვოს თავისი ადგილი. თავის გადადგომის შესახებ სფორცამ აცნობა პუანკარეს.

შანცერის უკანასკნელი ნაბიჯი.

ჰანოვერი 1 ნოემ. ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრის შანცერის უკანასკნელი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო დადგენილება დალმაციის მე-3 ზონის ევაკუაციის შესახებ. ამ მიზნით განზრახული იყო დალმაციაში შერეულ კომისიის მოწვევა, ევაკუაციის ამ დღეებში განხორციელებად ფიქრობენ, რომ დღევანდელ მომენტში ახალი მთავრობა არ იხელმძღვანელებს ამ შეთანხმებით.

მოსკოვი. 1 ნოემ. 30 ოქტომბერს ფაშისტების ჯგუფმა სცადა „ავანტის" რედაქციის დაკავება, მაგრამ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს მცველებმა. სროლის დროს მძიმედ დაჭრილია 10 ჯარისკაცი და ორი ფაშისტი.

მოსკოვი. 1 ნოემ. ფაშისტები შეიჭრნენ ფლორენციაში და პიზაში, ალყა შემოარტყეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, გადასჭრეს ტელეგრაფები და ტელეფონის მავთულები. რეგულიარულმა ჯარებმა აიძულეს ფაშისტები დაეტოვებინათ სახელმწ. დაწესებულებები. ტოსკანის ყველა ქალაქებში ადგილი ჰქონდა ანალოგიურ გამოსვლებს.

მოსკოვი. 1 ნოემ. მუსოლინის განზრახვა აქვს დაიფაროს საზოგადო სარგებლობის წარმოებები „პროფესიონალურ და სხვა მუშათა ორგანიზაციების კაპრიზებიდან" და აკრძალოს გაფიცვები აღნიშნულ წარმოებებში.

მოსკოვი. 1 ნოემ. მუსოლინიმ დაიკავა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, გარეშე და შინაგან საქმეთა მინისტრების ადგილი. მინისტრების უმრავლესობას წარმოადგენენ ფაშისტები—ნაციონალისტები.

მოსკოვი. 1 ნოემ. რომში ძალა-უფლება გადაეცა სამხედრო უწყების ჯგუფს. ქუჩებში დადიან პატრულები და ჯავშნიანი ავტომობილები.

ახლო აღმოსავლეთი

ფრაკიაში

მანჩესტერი 1 ნოემბერი. სტამბოლის ცნობებით, საბერძნეთის ჯარების უკანასკნელმა მატარებელმა დასტოვა ფრაკიის საზღვრები. გავიდა აგრეთვე ბერძნების მშვიდობიან მცხოვრებლების დიდი ნაწილი.

ანგორა და სტამბოლი

ბერლინი. 1 ნოემბერი. „ტანი" იტყობინება, რომ სულთანას რეფედ-ფაშასთან აუდიენციის შესახებ ამბობს: ძალა-უფლების ორპირობის მოსპობა ოსმალეთში აუცილებელია და სულთანიც სცნობს ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებას.

ანგორის მოთხოვნილებანი

კროიდონი 1 ნოემბერი. თანახმად რა კონფერენციის ლოზანში მოწვევისა, ანგორის მთავრობა პროტესტს აცხადებს ამავე დროს კონფერენციის სტამბოლის მთავრობის მოწვევის წინააღმდეგ. ქემალისტები იმუქრებიან კონფერენციაზე მონაწილეობისათვის უარის თქმით, თუ სტამბოლის მთავრობა არ იქნება გამორიცხული კონფერენციაზე მონაწილეთა რიცხვიდან.

ლორდ კერზონის მონაწილეობა

კროიდონი 1 ნოემბერი. ფიქრობენ, რომ თუმცაღა ლორდ კერზონი გაემგზავრება კონფერენციაზე, მაგრამ ის არ დარჩება ყველა მუშაობის დამთავრებამდე.

შვეიცარიის თანხმობა

რომი 1 ნოემბერი. შვეიცარიის მთავრობამ განაცხადა თავისი თანხმობა კონფერენციის ლოზანში მოწვევისათვის.

კონფერენციის მოწვევის ვადა

რომი 1 ნოემბერი. სტამბოლის ცნობებით, კონფერენცია გაიხსნება 20 ნოემბერს, ფრაკიის საბოლოო დაცლის შემდეგ.

ამერიკა და კონფერენცია.

კროიდონი, 1 ნოემბერი. კონფერენციაზე მიწვევის საპასუხოდ, შეერთებული შტატები უარყოფს ყოველგვარ აზრს მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღების შესახებ და თავის თავზე პასუხისმგებლობის მიღებას მომავალ პოლიტიკურ და ტერიტორიალურ შეთანხმებაში. ამერიკა ამავე დროს გამოსთქვამს სურვილს, რომ არ იქნება გულგრილი კაცთმოყვარეობის ინტერესებისადმი ახლო-აღმოსავლეთში და აგრეთვე დაიცავს თავის უფლებებს. ამისათვის შეერთებულ შტატებს განზრახვა აქვს გაგზავნოს ლოზანში თავისი წარმომადგენელი მეთვალყურეს სახით.

უცხოეთი

ინგლისი და საფრანგეთი

მოსკოვი 1 ნოემ. ინგლისის ახალმა ფინანსთა მინისტრმა ბალდუინმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ახალი მთავრობა ეცდება პირველ ყოვლისა გააუმჯობესოს ურთიერთობა საფრანგეთთან.

ფრანკის დაცემა

მოსკოვი 1 ნოემ. ფრანკის ახალი დაცემა დიდ მღელვარებას იწვევს პარიზში.

საფრანგეთი და რუსეთი

მოსკოვი. „დეილი ტელეგრაფი" იტყობინება, რომ საფრანგეთის საგარეო-სამრეწველო პრესა შიშობს, რომ რუსეთის ბაზარი ხელში არ ჩაიგდოს სხვა სახელმწიფოებმა და მოუწოდებს საფრანგეთის მრეწველებს და ფინანსისტებს გადასდგან ნაბიჯები რუსეთთან ურთიერთობის განახლებისათვის.

გერმანიის რკინის გზელები

მოსკოვი 1 ნოემ. სამუშაო ქირის საკითხში გერმანიის მთავრობის შეურიგებლობის გამო, აუცილებელია განხეთქილება რკინის გზელებისა და მთავრობის შორის. რკინის გზელთა კავშირის თავმჯდომარე ღებულობს გერმანიის ყველა კუთხეებიდან დეპეშებს, რომ რკინის გზელები მზად არიან ბრძოლისათვის.

კომუნიზმთან ბრძოლა უნგრეთში

მოსკოვი 1 ნოემ. უნგრეთის ქალაქებში ამას წინად დააპატიმრეს 150 კაცი კომპარტიის მომხრეობისათვის. დაპატიმრებულთა ნაწილი 8—100 კაცი გაყოფილია ორ ჯგუფად—ხელმძღვანელები და მიმდევრები ხელმძღვანელები გადაცემულნი იქნებიან საველე სასამართლოსათვის, მათ ელის ჩამოხრჩობა.

მონარქიული მოძრაობა ავსტრიაში

მოსკოვი 1 ნოემ. ავსტრიაში დაარსდა ახალი მონარქიული პარტია.

პოლონეთში

მოსკოვი 1 ნოემ. პოლონეთში არჩევნების გამო დაპატიმრებულია 583 კაცი, მათ შორის ას კაცზე მეტი საარჩევნო კომიტეტის წევრია. „ქალაქის და სოფლის კავშირის" საარჩევნო კომიტეტის შენობაში სამბორში შეიჭრა პოლიცია, მოახდინა ჩხრეკა და კონფისკაცია უყო ლიტერატურას. პოლიციის კომისარმა განაცხადა, რომ ის ითხოვს საარჩევნო კომიტეტს. კომიტეტის რწმუნებული დაპატიმრებულია კოვნოში. დაპატიმრებულია კავშირის ათი წევრი. ქელცში დააპატიმრეს კავშირის რწმუნებული.

კუთნოში დაპატიმრებულია მუშათა კავშირის პლაკატის გაკვრისათვის.

ლოძში მიტინგზე, რომელიც მოაწყო ლანცუცკიმ, დაპატიმრებულია დაახლოვებით ასი კაცი.

იაპონია და რუსეთი

მოსკოვი 1 ნოემ. იაპონიის პრესა დაჟინებით მოითხოვს საბჭოთა რუსეთთან შეთანხმებას.

ვლადივოსტოკში.

მოსკოვი. ნოემბრის 1. ვლადივოსტოკის საგარეო-სამრეწველო პალატამ გამოიტანა რეზოლუცია რომელშიაც ესალმებიან ვლადივოსტოკში შესულ შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის არმიას. პალატა აღუთქვამს შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკის მთავრობის ყოველივე დახმარებას.

რუსეთ-ოსმალეთის სავაჭრო კონფერენცია.

მოსკოვი. ოქტ. 29. ანგორაში გაიხსნა რუსეთ ოსმალეთის სავაჭრო კონფერენცია დელეგატები მიესალმნენ ერთიმეორეს.

გერმანიის ნაციონალისტების ყრილობა.

მოსკოვი. ნოემბრის 1. ბერლინში გაიხსნა გერმანიის ნაციონალისტების ყრილობა. ნაციონალისტების პარტიის თავმჯდომარემ გერხტმა სიტყვაში განაცხადა, რომ მთავრობა უნდა „დაეცეს", თუ ის საფრანგეთის მოთხოვნილებათა დამორჩილებით დაუშვებს გერმანიის სუვერენიტეტის დარღვევას.

გინდენბურგის სახელს, რომელიც წარმოსთქვა ორატორმა, დამსწრეები მხურვალედ მიესალმნენ. ყრილობაზე მეფობს აშკარა ფაშისტური განწყობილება.

ტერორისტული აქტები.

მოსკოვი. ნოემბრის 1. მიღებულია ცნობები ტერორისტული აქტების შესახებ, რომელსაც ამზადებენ მემარჯვენეები. ამის გამო მიღებულია ზომები რეიხ-კანცლერის რეზიდენციის დასაცავად.

„როტე ფანე"-ს დახურვა.

მოსკოვი. ნოემბ. 1. ბერლინის პოლიციის შეფმა რესპუბლიკის დაცვის კანონის ძალით დახურა „როტე ფანე" ორი კვირით მიმოსვლის მინისტრის საწინააღმდეგო წერილის გამო, რომელმაც უარი უთხრა რკინის გზელებს მოთხოვნილებაზე სამუშაო ქირის შესახებ.

ინგლისის პარტიების შორის

მოსკოვი 1 ნოემბ. ირკვევა, რომ ბონარ-ლოუს პარტია შეშინებულია ლოიდ ჯორჯის მომხრეების გავლენის ზრდით. კონსერვატორების შორის ამის გამო ფეხს იკიდებს კოალიციონური განწყობილება. უკვე მოხდა არა ოფიციალური შეთანხმებათა მთელი რიგი კონსერვატორებისა და ლიბერალების ლიდერების შორის, რათა არჩევნებზე არ გამოვიდნენ ერთი მეორის წინააღმდეგ.

ორთავე პარტიები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ბურჟუაზიული ხმების გაყოფა გამოიწვევს მუშათა პარტიის გაძლიერებას.

ფაშისტების პროგრამა.

მოსკოვი. 1 ნოემბ. „ჩიკაგო ტრიბუნის" ცნობით, ფაშისტების გარეშე პოლიტიკის სფეროში ისახავენ შემდეგ მიზნებს: უარყოფა ყველა დაპირებისა ნაპირების შესახებ სამხრეთ-სლავიასთან დადებულ ხელშეკრულებისა; ვაშინგტონის შეთანხმების გამოყენება ფლოტის გადიდების მიზნით, გერმანიის რეპარაციებში იტალიის წილის გადიდება, არქიპელაგის კუნძულის იტალიასთან შეერთება, ლოზანის კონფერენციის გადადება იტალიის ახალი მთავრობის მიერ საკონფერენციო საკითხების გაცნობამდე.

ახლო აღმოსავლეთის კონფერენცია.

მოსკოვი 1 ნოემ. დიდი ეროვნული ყრილობის სხდომაზე წაკითხულ იქმნა სტამბოლიდან მიღებული დეპეშა სტამბოლის მთავრობას ლოზანის კონფერენციაზე მიწვევის შესახებ. დეპეშამ მქუხარე პროტესტი გამოიწვია დეპუტატებში.

გამოტანილი იქმნა რეზოლუცია სულთანის ჩამოგდების შესახებ.

ფაშისტების დემობილიზაცია

კროიდონი. 1 ნოემ. ახალი კაბინეტის მიერ ფიცის მიღების შემდეგ ფაშისტებმა დემობილიზაციის და სახლებში დაბრუნების ბრძანება მიიღეს.

კომუნისტების დაპატიმრება.

კროიდონი 1 ნოემ. იტალიის სხვა და სხვა ქალაქებში დატუსაღებულია კომუნისტური პარტიის რამოდენიმე ლიდერები.

კომუნისტების პარტიის გადაწყვეტილება.

რომი. 1 ნოემ. იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა გაიწვიოს პარლამენტიდან კომუნისტი დეპუტატები.

ვლადივოსტოკში.

მოსკოვი. 1 ნოემ. ამერიკის და საფრანგეთის კონსულებმა აცნობეს მთავარსარდლის უფროსობას, რომ გემების დატოვება ვლადივოსტოკში არ არის გამოწვეული რაიმე პოლიტიკური მიზნებით. გემების დანიშნულებაა უცხოელების დაცვა.

რუსეთი

სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის მეოთხე სესია.

ამხ. ლენინის სიტყვა.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. 31 ოქტომბერს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის სესიის სხდომაზე გამოვიდა სიტყვით ამხ. ლენინი, რომელმაც თავისი სიტყვა დაიწყო მისალმებით წითელი არმიისადმი, რომელმაც დაიკავა ვლადივოსტოკი. მე ვფიქრობ, სთქვა ამხ. ლენინმა, რომ წითელმა არმიამ დიდი ხნით გვიხსნა ჩვენ თეთრ-გვარდიელების თავდასხმისაგან. აქ მოსჩანს აგრეთვე ჩვენი დიპლომატიის მუშაობა, რომელსაც მომავალში მოუხდება გამოსვლა დიდი მნიშვნელობის საკითხში ახლო-აღმოსავლეთის კონფერენციაზე ლოზანში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი დიპლომატია შეასრულებს თავის ამოცანას.

შეეხო რა სესიის საკანონმდებლო მუშაობას, ამხ. ლენინმა ხაზი გაუსვა შრომისა და მიწის შესახებ მიღებულ კოდექსების უდიდეს მნიშვნელობას.

სააღმშენებლო საქმე.

30 ოქტომბრის საღამოს სხდომაზე ერთხმად მიღებულია რეზოლუცია ვოლხოვის სააღმშენებლო განყოფილების შესახებ. რომელშიაც აღნიშნულია მიღწეული წარმატებანი სამუშაოში და დაუშვებლობა მომავალში რაიმე შეფერხებისა რევოლუციის ამ უდიდეს მონაპოვარის განხორციელებისათვის. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომი ადგენს აღიარონ ვოლხოვის სააღმშენებლო განყოფილების ფულით მომარაგება დაუყოვნებლივ და შემოიღონ მისთვის თანხების მიწოდების განსაკუთრებული წესი.

ამას გარდა დაადგინეს დაარსონ საგანგებო კომისია ვოლხოვის სააღმშენებლო განყოფილების წარმომადგენლების მონაწილეობით, რათა გამოარკვიონ საშუალებების მიწოდების შეფერხების მიზეზები და აღმოაჩინონ ამ საქმეში დამნაშავენი.

ამხ. ზინოვიევის მოწოდება.

სხდომის დასასრულს ტრიბუნაზე ადის ამხ. ზინოვიევი, რომელიც მოუწოდებს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომს მოაწყოს სახელმწიფოში მასიური ხელის მოწერა პეტროგრადის „რევოლუციის მსხვერპლთა მოედანზე, ყოფ. „მარსოვის მინდორზე". რუსეთის რევოლუციის მსხვერპლთა ძეგლის ასაგებად.

სამეურნეო ფრონტზე.

მოსკოვი. ნოემბრის 1. დაწყებულია მუშაობა სასოფლო სამეურნეო მანქანების სააღმშენებლო ქარხანაში.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

მოსკოვი. ნოემბრის 1. გაიმართა ცენტრ. აღმ. კომიტეტის წევრ გლეხების თათბირი სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მომწყობ მთავარ კომიტეტთან. არჩეულია კომისია რ. ც. ა. კ. წევრ გლეხებისაგან, გამოფენისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

ელექტრონის სადგური როსტოვში.

მოსკოვი. ნოემბრის 1. ელექტრო-სადგურის აშენება როსტოვში დამთავრებულია. მუშაობა გაგრძელდა სამი თვე და დამთავრდება ვადამდე ორი თვით ადრე.

ტყავის მრეწველობა ტულაში.

მოსკოვი. ნოემბრის 1. ტყავის მრეწველობა ტულაში უდრის ომისწინადელ წარმოების 70 პროც.

კონფერენცია განიარაღების შესახებ

მოსკოვი. 1 ნოემბ. ბალტიის განაპირა სახელმწიფოების და საბჭოთა რუსეთის კონფერენცია განიარაღების საკითხის შესახებ, დანიშნულია მოსკოვში 30 ნოემბრისათვის.

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი. 1 ნოემბ. კომინტერნის აღმასკომმა მიმართა მოწოდებით ინგლისის მუშებს, რომელშიაც მოუწოდებს ხმა მისცენ მუშათა პარტიას. მოწოდებაში ნათქვამია:

„მიუხედავად ჩვენი იმედისა, რომ ლიდერები (დამახინჯებულია)... პარტიები მიიღებენ რა უმრავლესობას პარლამენტში, გასცვლიან მუშათა კლასის ინტერესებს ბურჟუაზიის სასარგებლოდ, კომინტერნი მოუწოდებს კომუნისტებს და მუშებს ხმა მისცენ მუშათა პარტიას სანამ ინგლისის პროლეტარიატის უმრავლესობა აუცილებელ რევოლუციონურ ბრძოლაში არ დარწმუნდება კომპარტიის პროგრამის და ტაქტიკის სისწორეში და არ მიემხრობა კომინტერნს.

უბორევიჩის დაჯილდოვება.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. სამხედრო-რევოლუციონურმა საბჭომ დააჯილდოვა წითელი დროშის ორდენით შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის არმიის მთავარსარდალი უბორევიჩი.

ლატვია შურს იძიებს.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. რიგის სამხედრო სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა ამხ. კლიავინ-კლავინს, რომელიც გაემგზავრა რიგაში ოჯახური საქმეებისათვის. დაპატიმრების შემდეგ კლიავინ-კლიავინს სცემეს ციხეში და მისცეს სამხედრო სასამართლოს მიუხედავად პრემიერი მეიეროვიჩის მრავალ დაპირებისა, რომ ის იქნება განთავისუფლებული.

კლიავინ—კლიავინზე განაჩენი წარმოადგენს შურის ძიების აქტს ჯაშუშების რენეს და მისთვის რევტრიბუნალის მიერ დასჯის გამო.

ამხ. კლიავინ-კლიავინი გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ იყო შეტანილი გადასაცვლელად სიაში.

შიმშილის შედეგებთან ბრძოლის კომისიაში.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. სრულ. რუსეთის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტ. შიმშილთან ბრძოლის კომისიაში ამხ. კამენევმა მოხსენების დროს განაცხადა: უცხოეთის ორგანიზაციების მიერ შემოტანილია რესპუბლიკაში 22.576.200 ფ. სურსათ საქონელი, მათში 83 პროც. შემოტანილია რუსეთ-ამერიკის ადმინისტრაციის, ნანსენის ორგანიზაციის მიერ შემოტანილია 13 პროც., დანარჩენი შემოტანილია მუშათა ორგანიზაციების მიერ.

მურმანის მხარის კოლონიზაცია.

მოსკოვი. 1 ნოემბერი. სრულიად რუს. ც. ა. კ. პრეზიდიუმის სხდომაზე გარჩეულ იქნა საკითხი მურმანის მხარის კოლონიზაციის შესახებ. დადგენილია მიიღონ ზომები მურმანის რკინის გზის მოქმედების გასაძლიერებლად.

ბრძოლა მექრთამეობასთან.

საბჭოთა სახალხო სასამართლოში დაიწყო მოსკოვის შრომის ბირჟაში აღმოჩენილ მექრთამეობის საქმის გარჩევა.

კომინტერნის პლენუმი

მოსკოვი. 1 ნოემბ. კომინტერნის გაფართოებული პლენუმის გახსნა გადადებულია 2 ნოემბრისათვის

მოსკოვის ქალაქის ბანკი

მოსკოვი. 1 ნოემბ. მოსკოვის ქალაქის ბანკის წესდება დამტკიცებულია. ბანკს ხსნის მოსკოვის საბჭო. ძირითადი კაპიტალი—20,000 აქცია, ღირებული თითო 50 000 მან. მოსკოვის საბჭომ შეიძინა აქციების ნახევარზე მეტი.

კომინტერნის აღმასკომში

მოსკოვი. 1 ნოემბ. კომინტერნის აღმასკომში სწარმოებს სამზადისი მუშაობა მეოთხე კონგრესისათვის. შედგენილია კომისიები ვერსალის ხელშეკრულების აგრარული საკითხის, პროფესიონალური მოძრაობის, სამანდატო და აღმოსავლეთის საკითხის.

ახალი ამბები

— **ბანკირების კონგრესი.** ამ დღეებში მანჩესტერ-გარდიანის [illegible] ლიად რუსეთის ბანკირთა კავშირის თათბირი, რომელზედაც დადგინეს— მაიდან მანძილიდან მომავალ წელში ქალაქ სტოკჰოლმში მოიწვიოს საერთაშორისო კონგრესი ბანკირებისა, [illegible] წინადადებით ყველა ქვეყნის ბანკირთა მიმართ—საერთაშორისო განაღდების შესახებ და [illegible] მოითხოვება, რათა [illegible] ბანკირთა არ მიიღონ მონაწილეობა სამხედრო სამსახურში.

— **ახალი გამომცემლობა.** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა აზერბაიჯანის პოლიგრაფიული ტრესტის წარმომადგენელი, რომელიც აგროვებს სახელმწიფო ყველა დაწესებულებების, ტრესტების და კერძო—მსხვილ დაწესებულებების-კანტორების დებულებებს და სტატისტიკურ ცნობებს, რომელიც მოთავსებული იქნება 1928 წლისათვის გამოსაცემად განზრახულ წიგნში: „მთელი კავკასია" „მთელი კავკასიის კალენდრის ნაცვლად.

— **რკინის გზის სამმართველოს სახლების შეკეთება.** ყველა მუშათა სახლები, რომლებშიც სცხოვრობენ რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი გადაეცემა რკინის გზის სამმართველოს. ამ სახლების ყველა შემოსავალი, გარდა ბინების, ჩაირიცხება მათვე სახლების შესაკეთებელ ფონდში. ის სახლები, რომლებიც მოთავსებულნი არიან რკინის გზის დაწესებულებათა, იხდიან ქირას საერთო წესით, როგორც სხვა სამეურნეო ორგანოები. [illegible]

სამხატვრო ქრონიკა

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს ქართულ დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება აკაკის ისტორიული დრამა „თამარ ცბიერი", პირველად ამ სეზონში.

ხვალ, ნოემბრის 3-ს მესამედ შალვა დადიანის ისტორიული სანახაობა სამს სურათად „[illegible]". სიმღერა გალობანი კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი მიმდინარე სეზონისათვის ბათუმს გაიწვიეს.

— **ორშაბათობით მუშაობა** რუსთაველის თეატრის აკადემიურ დასის მიერ ამიერიდან შეწყვეტილ იქმნა, თანახმად „რაბისის"-ს წინადადებისა.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, 2 ნოემბერს „ფაუსტ"-ი. მონაწილეობენ: [illegible], ლევიცკი, [illegible], შარაშიძე და სხ.

— **შალვა დადიანის იუბილეს** მოწყობა განზრახულია მიმდინარე წლის დეკემბრის თვეში.

— **ლიტერატურული ხუთშაბათი.** ხელოვნების სასახლე, სერგეევის ქ., № 13, საღამოს 8 საათზე. ხუთშაბათს ნოემბრის 2-ს, მე-22 ლიტერატურული ხუთშაბათი. შალვა დადიანი: „გახსენება ნიკო დადიანის".

წყალდიდობა საქართველოში

ბორჯომი. წყალმა ძირი გამოუთხარა რკინის გზის ვიწრო ლიანდაგს და ოცი საჟენის მანძილზე რელსები ჩაიქცა.

ბორჯომ-ბაკურიანის სადგურის ახლოს ნაპირი წალეკილია და წყალი მდგარა პირდაპირ რკ. გზას, რომელიც მიდის ბორჯომის წყლის საექსპორტო განყოფილებისაკენ.

სხვა ადგილებში ნაპირები წალეკილია რამდენიმე საჟენზე. დანგრეულია თიხრილი, რომლითაც წყალს აწვდიდა ელექტრო-სადგურს და წყალსადენს. ამიტომ ქალაქი დარჩა უშუქოდ და უსინათლოდ. ვიწრო რკინის გზის გაფუჭების გამო შეწყვეტილია ბორჯომის წყლის ჩამოსხმა, ვინაიდან შეუძლებელია ცარიელი ბოთლების მიწოდება და საწყობის გატანა.

სენაკის მაზრა. წვიმა წამოვიდა სექტემბრის 22-დან და იწვიმა 4

დღე-ღამის წინ მთები დასთოვა და თოვლის წყალიც დაემატა წვიმას. 24 ღამით ნაპირებიდან გადმოვიდა რიონი და ცხენის წყალი—და დაფარა შემდეგი სოფლები: ნაესაკოვო, ცილორი, თქვირი, პირველი და მეორე კოდორი, კეთილარი, პირველი და მეორე ეწერი, წალიკარი, ონოდიო, ძონძირ-ისულა, ზემო და ქვემო ჭალადიდი და რომა. ამ სოფლებში წყალი იდგა ზოგან 2 საჟენის სიღრმით. ხალხმა თავი შეაფარა ხეებზე და სახლების სახურავებზე. ფოთიდან და ბათომიდან გამოთხოვილ იქნა ნავები მეზღვაურებით. 25-ს ღამით აბაშაში მოვიდა რკინის გზით ფოთიდან 15 ნავი 40 მეზღვაურით. მეორე დილითვე ესენი გაიგზავნა სურსათით წყლით დაფარულ სოფლებში. თავგანწირული ბრძოლით სტიქიონის წინააღმდეგ ხალხი გადარჩა დაღუპვისაგან. ჯერ-ჯერობით აღმოჩენილია სამი დამხრჩვალი. ამ სოფლებში ასვეგით დაიღუპა შინაური ფრინველები და წვრილფეხობა. მსხვილფეხი საქონლის ნაწილი კი გადარჩენილია. დაიღუპა მოსავლის 70 პროცენტი. წისქვილები, ბორნები წაღებულია, გზები წამხდარი; რამოდენიმე სახლი დანგრეულია. საბალახოები მოსილულია. ზარალი ათეული მილიარდებს უდრის.

წყლიდან განთავისუფლებულ სოფლებში დარჩენილია ნალექი 2 არშინამდე, რაც საუკეთესო პირობაა ავადმყოფობის, განსაკუთრებით მალარიის გასავრცელებლად, რაც უკვე დაიწყო. საქმით დახმარებისათვის სამაზრო აღმასკომმა გახსნა 9 საექიმო პუნქტი ქინაქინის და სხვა წამლების უქონლობა ძალიან აბრკოლებს საქმეს.

საჭიროა ხალხის უზრუნველყოფა სურსათით მთელი წლით; უნდა მიეცეს მათ ფული სახლების, ტანსაცმელის, პირუტყვების და სხ. შესაძენად.

შორაპნის ხიდზე. ოქტმბრის 30 გაატარეს 3 მატარებელი, მაგრამ ისევ შეაჩერეს ვინაიდან არც ხიდია კარგ მდგომარეობაში და წყალმაც მოიმატა 1 არშინ ნახევარით.

— საქართველოს სატყეო განყოფილებას წყალდიდობამ მიაყენა 10 მილიარდამდე ზარალი.

ალ. ცაგარელის იუბილე

მას შემდეგ, რაც პირველად დაიბეჭდა ორი თუ სამი წერილი ჩვენს პერიოდულ გამოცემებში, ალ. ცაგარელის იუბილეს შესახებ, მრავალი კულტურული დაწესებულება და კერძო პირი ემზადებოდა მის იუბილეს დღის შესახვედრად და ცდილობდა შეძლების მიხედვით მეტივი ეცა დამსახურებული პროფესორისათვის.

ჩვენ წელს მრავალ ქართველ მოღვაწეს გადაუხადეთ იუბილე და შესაფერისად შევხვდით მათ. მაგრამ დამსახურებული პროფესორის ალ. ცაგარელის იუბილე არ მოეწყო ისე, როგორც ეს შეეფერებოდა ჩვეულებრივ იუბილიარის მოღვაწეობას და ამაში დამნაშავე ქართველი საზოგადოება კი არ არის, არამედ თვით იუბილეს მომწყობი კომისია, რომელმაც მიუტევებელი დანაშაული ჩაიდინა იმ მხრივ, რომ არ მოისურვა ფართო საზოგადოებისათვის გაეცნო ალ. ცაგარელის იუბილეს მოწყობის შესახებ, რომ საზოგადოებას საშუალება მისცემოდა მომზადებული შეხვედროდა საყვარელი პროფესორის საზეიმო დღეს.

პროფესორთა საბჭომ (და საიუბილეო კომისიამ თუ კი არსებობდა ასეთი რამ) არ შეიწუხა თავი და არც ერთი პატარა განცხადება არ მოათავსა არც ერთ ჩვენს ყოველდღიურ გაზეთში, რომ მათ გარდა სხვასაც გაეგო იუბილეს დღე და ადგილი.

რა მოაგონებდა და აცნობდა ხალხს ალ. ცაგარელის იუბილეს შესახებ, თუ არა ერთად ერთი წერილი „კომუნისტში“ ბ-ნ ვ. ბერიძის და „ტრიბუნაშიც“ ერთი სტუდენტისა, რომლებიც მისალმების მიზნით იყვნენ დაწერილი და იუბილეს დროისა და ადგილის შესახებ ამ წერილებში, როგორც კერძო ხასიათისა, ცხადია არაფერი არ იქნებოდა.

რაც შეეხება გაზეთებს: „ლომის“ და „ზახტრიონს“, ესენი ხომ კვირეული გაზეთები არიან და მაშასადამე წინასწარ ცნობების გასავრცელებლად ვერ გამოდგებოდნენ.

პროფესორთა საბჭომ თუ საიუბილეო კომისიამ არ აწარმოვა წინასწარი მუშაობა ცაგარელის იუბილეს პოპულარიზაციისათვის და იმის ღირსად გახადა ის საქმე, რომ იუბილეს გამართვის წინა დღეს მხოლოდ ხელის გულის ზომის ნაგლეჯ ქაღალდზე დაბეჭდა რემინგტონით მარტო ერთი ცალი და უნივერსიტეტის შესავალ კარს მიაკრა აუარებელ განცხადებათა შორის, რომელსაც, თუ გულდასმით არა, ყურადღებას ვერავინ ვერ მიაქცევდა.

მიუხედავად ყოველივე ამისა დაინტერესებულ სტუდენტების მიერ საწრაფოდ გავრცელებულმა ხმებმა მაინც საკმაო საზოგადოება მოუყარა თავი უნივერსიტეტის დიდ დარბაზში.

პირველი სიტყვა სთქვა უნივერსიტეტის რექტორმა ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც დაახასიათა ალ. ცაგარელი, როგორც თვალდაუღალავი ისტორიული მასალების მკვლევარი.

პროფ. კ. კეკელიძემ თავის გრძელ სიტყვაში აღნიშნა ის დიდი დამსახურება იუბილიარისა, რომელიც მან მიუძღვის ქართული სიტყვიერების და საეკლესიო ისტორიის დარგში.

პროფ. აკ. შანიძე შეეხო ცაგარელის მოღვაწეობას კერძოთ ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში.

ამის შემდეგ მიესალმა განათლების კომისარიატის წარმომადგენელი მ. ელაძე, რომელმაც კომისარიატის სახელით დიდი მადლობა გამოუცხადა იუბილიარს და მიართვა 25 მილიონი მანეთი.

ს. გორგაძე მიესალმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სახელით და მიაგონა ის წარსული მოღვაწეობა ალ. ცაგარელისა, რომელიც ამ უკანასკნელს მიუძღვის აღნიშნული საზოგადოების მიმართ.

ქ. გამსახურდიამ სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის და გაზეთ „ლომისის“ რედაქციის სახელით. დასასრულ იუბილიარს მიესალმა ქ. შ. წერა-კითხვის წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა ის დამსახურება იუბილიარისა, რომელიც მიუძღვის მას ხსენებული „საზოგადოების“ დაარსების საქმეში.

დასასრულ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს საკათოლიკოზო საბჭოს და უნივერსიტეტის მედიკური ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო წრის წარმომადგენლებმა.

უკანასკნელად თვითონ იუბილიარმა წარმოსთქვა მეტად მგრძნობიარე სიტყვა თავისი მოღვაწეობის შესახებ და სთქვა „ვაკეთე ის, რაც შემეძლო“ (რომაული თქმულებით).

ამით დასრულდა დამსახურებული პროფესორის ალ. ცაგარელის იუბილე.

გ. თ.

სტატისტიკოსთა ყრილობისათვის

31 ოქტომბერს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს შენობაში გაიხსნა სრულიად საქართველოს სტატისტიკოსთა პირველი ყრილობა. ამ ყრილობით მთლიანად უნდა ჩამოყალიბდეს და აღმასრულებელ კომისიის სახით კი, რომელსაც ყრილობა აირჩევს, გვირგვინი უნდა დაედგას იმ შენობას, რომელსაც ჰქვიან სახელმწიფო სტატისტიკა. სულ რაღაც წელიწადი და ოთხი თვეა მას შემდეგ, რაც საქართველოს სტატისტიკამ დაიწყო დამოუკიდებელი ცხოვრება ახალ საფუძველზედ. მაშინ არ იყო ამ დარგში მთლიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, და თუ აქა-იქ ცენტრში ან პერიფერიებში არსებობდა სტატისტიკური დაწესებულებები, მათ შორის არ იყო მჭიდრო ორგანიზაციული კავშირი. დღეს კი სულ სხვა სურათია. ამ მოკლე, ყოველ შემთხვევაში სტატისტიკისათვის მეტად მცირე, ხნის განმავლობაში, საქართველოს სტატისტიკამ, მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა შესძლო ერთი მთლიანი და განუყოფელი ორგანიზაციის შექმნა. დღეს უკვე ყველა მაზრაში, ავტონომიურ რესპუბლიკებში და მსხვილ ქალაქებში მოწყობილია სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოები, რომელნიც გაერთიანებულნი არიან ერთ მთავარ ცენტრში, ცენტრალურ სამმართველოს სახით. ორგანიზაციული მშენებლობა და მოსამზადებელი ხანა უკვე დამთავრებულია; დღევანდელი ყრილობა ამის უკანასკნელი ეტაპია. დღეიდან კი ჩვენი სტატისტიკისათვის იწყება ახალი ხანა, ხანა შემოქმედებისა, სისტემატიური და ნაყოფიერი მუშაობისა. ყრილობის პროგრამაში საგულისხმო საკითხებია შეტანილი. ერთის მხრით ყრილობა გადახედავს და შეაფასებს განვლილი პერიოდის ნამუშავარს, ხოლო მეორე მხრით გაითვალისწინებს მომავალი მუშაობის ასპარეზს და მისცემს სახელმწიფო სტატისტიკას სამოქმედო გეგმას. ყრილობა თავის მუშაობით გამოააშკარავებს ფართე საზოგადოების წინაშე შედეგებს იმ ჩუმი, მაგრამ სისტემატიური მუშაობისას, რომელიც სწარმოებს სახელმწიფო სტატისტიკის ორგანიზაციებში და ამით იქნებ ნაწილობრივ მაინც გაალხოს ის ყინული, რომელიც გარს არტყია სტატისტიკას, საზოგადოების ინდიფერენტიზმისა და გულცივობის სახით. ყრილობა ამავე დროს იქნება სტატისტიკური ძალების დემონსტრაცია და მარჯვე დროსაც იკრიბება იგი; ჩვენი ძალების გადახედვა და გამოცდა საჭიროა სწორედ ეხლა, იმ გენერალური ბრძოლის წინ, რომელიც ახლო მომავალში მოელით სტატისტიკის მუშაკთ-ქალაქთა მოსახლეობის აღწერის სახით. ამ პირველ დიდ სტატისტიკურ ნაბიჯს, სტატისტიკოსთა პირველი ყრილობა დაადევნებს თავის ბარაქას. ხვავიანი იყოს მისი საქმიანობა.

მ. ყ.

„შევარდენი“ უნივერსიტეტში

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში, ახლო წარსულში დაარსებულმა სატანვარჯიშო საზოგადოება „შევარდენმა“ საკმაოდ გაიდგა ფესვები და თითქმის ყოველ კუთხეში გაიჩინა ავტონომიური კავშირები.

ამ დღეებში ასეთი საზოგადოება დაარსდა სახელმწიფო უნივერსიტეტშიაც, რაც ცხადია დიდ პლიუსად უნდა ჩაითვალოს.

რამდენიმე დღის წინეთ იყო გამოკრული განცხადებანი ინიციატორთა მიერ სტუდენტთა საზოგადო კრების მოსაწვევად „შევარდენის“ საზოგადოების განყოფილების დაარსების მიზნით. კრება შესდგა ოქტომბრის 26 საღ. 7 საათზე პირველ აუდიტორიაში. ინიციატორთა კოლეგიის სახელით კრებას ხსნის და თავმჯდომარეობს ძმა ალ. დიდებულიძე. დღიური წესრიგის გაცნობის შემდეგ, უნივერსიტეტში „შევარდენთა“ საზოგადოების დაარსების შესახებ მოხსენებას აკეთებს ძმა ნიკო კეცხოველი.

მოხსენება შინაარსიანი იყო, რაშიაც ჩანდა მრავალმხრივი დასაბუთება სტუდენტთათვის „შევარდენის“ საჭიროებისა და მისი დაარსების აუცილებლობის შესახებ.

მოხსენების შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია რომლითაც მიიღო უნივერსიტეტის კედლებში „შევარდენი“-ს დაარსების აუცილებლობა.

ამის შემდეგ კრებამ იქონია მსჯელობა „შევარდენისათვის“ ბინის გამონახვის შესახებ და აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ დაადგინა: ეთხოვოს პროფესორთა საბჭოს „შევარდენს“ დაუთმოს იგივე ბინა, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინეთ ოფიციალურად გადაცემული ქონდა მას და შემდეგ რაღაც მიზეზებით ისევ წაერთვა.

დასასრულს კრება ირჩევს შევარდენის უნივერსიტეტის განყოფილების დრ. კომისიას, რომელსაც ევალება დაუყოვნებლივ სისრულეში მოყვანა ყველა იმ დადგენილებათა, რაც კრებამ მიიღო.

ამ რიგათ ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტში კვლავ ერთი სრულიად სიმპატიური [illegible] და იმედი [illegible] რომ კარგ შედეგებს მოგვცემს.

გ. თ.

მოწერილი ამბები

წყალდიდობა ქ. ახალციხეში.

21 ოქტომბერს დაიწყო წვიმა და საღამომდე გასტანა. საღამოზე შეწყდა, მაგრამ ღამე ისევ დაიწყო წვიმა და მთელი ღამე წვიმდა. 22 ოქტომბერს წვიმა დილით შეწყდა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ განაგრძო მთელი ღამეს.

23 ოქტომბერს წვიმა დილაზე ოდნავად მოდის, ცოტა ხნის შემდეგ კი ისევ ჩვეულებრივ წვიმს მთელი დღე და ღამე მეორე დღე, 24 ოქტომბრამდე.

33 ოქტომბერს მდინარე მტკვარი ადიდდა, რომელმაც გადალახა კალაპოტი, შევარდა მდინარესთან ახლო მდებარე ბაღებში და ძალზე დააზიანა. მრავალ ადგილას ხეები ძირიან ფესვიანად ამოგლიჯა და თან წაიღო. მოკრეფილი და დაგროვილი ხილი (ვაშლი) და სხვა წაიღო. წყალს მოჰქონდა აგრეთვე მაზრაში მის მიერ დანგრეული ხიდების ფიცარ-ხეები, ბოძები და სხვა.

როგორც ზემოდ აღვნიშნე წვიმა არ შეწყვეტილა, რის გამო მდინარე მტკვარი (ფოცხოვი) უფრო დიდდება.

ღამის 8 ნ. ხ. საათზე მდინარე მტკვარი (ფოცხოვი) მოულოდნელად ძლიერ ადიდდა, ასე რომ კვლავ უფრო ფართოდ გადმოვიდა ნაპირებიდან, უფრო შუაგულ ბაღებში შევარდა და წამოიღო რაც იქ დახვდა.

აბობოქრებულმა წყალმა ძლიერ დააზიანა მაზრაში როგორც ბაღები, წისქვილები, აგრეთვე ყანები, ტელეგრაფის სვეტები და სხ. ასე რომ ქ. ახალციხე მთლად მოწყდა რამდენიმე დღით მთელს მაზრას, ვინაიდან ტელეგრაფის სვეტები წყალმა წაიქცია, რის გამო აბასთუმანთან, ახალქალაქთან და ბორჯომთან ტელეგრაფის მუშაობა შესწყდა, ასე რომ არ ვიცი რა მოხდა აბასთუმანში და სხვაგან.

ქალაქიდან ორი ვერსის მანძილზე ძალიან გაათლა და მთლად სილით და ქვიშით ამოავსო ძმ. დუგლიშვილების წისქვილი. ს. ივლიტის ლეკიანთ ბაღი და ძმ. დუგლიშვილების ბაღი მთლად წყალში იყო.

ამავე დროს შიგ ქალ. ახალციხეში დიდი ხიდის ახლო მდებარე მცხოვრებთა შორის (სადაც დროებით ცხოვრობენ სხვათა შორის სომეხი ლტოლვილები) შექმნა საზარელი გულშემატკივარი ყვირილი, რომლებიც თხოულობდნენ შველას, რადგან აბობოქრებული, შეუპოვარი წყალი მათ მისდგომოდა და ემუქრებოდა განადგურებას.

ამავე დროს გაიწყვეს თოფების სროლა და ზარების რეკა, რათა მცხოვრებლები მიშველებოდა ამ საზარელ სურათს და აგრეთვე მისულიყვნენ ხიდთან ახლო მდებარე დუქნების პატრონები და თავიანთი დუქნებისათვის ეშველათ. ამ დროს (23 ოქტომბერს) ღამით საზარელ სურათს წარმოადგენდა ეს დიდ ხიდთან ახლო მდებარე უბანი.

აზვირთებული და აბობოქრებული წყალი ისე გადიდებულიყო, რომ ახალციხეში ერთად-ერთს და ძველის-ძველ ხიდს (ეს ხიდი გაკეთებულია ჯერ კიდევ მესხეთ-ჯავახეთში ოსმალების ბატონობის დროს), გადაასკდა წყალი ნახევარ ადლის სიმაღლით, ასე რომ ზედ ხიდზე წყალი და დიდი ხეები გადადიოდა.

წყალმა ცოტა დააზიანა ხიდის ორი ქვის ბურჯი და ნახევარი ორივე მხარე ხიდის ზედა პირი მცხოვრებთა სასიარულო ადგილი.

წყლით აივსო მდინარესთან ახლო მანძილზე მდებარე უბანი როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ.

მარჯვენა მხარეს ქურდოღლიანცის დუქნამდე დაფარა მთელი ქუჩა წყლით. ამ მოხსენებულ უბანში (ქუჩაში) მდებარე დუქნების სარდაფები სულ წყლით აივსო, ამ ქუჩაზე კერძო დუქნების გარდა არის სასეირნო კომიტეტის მთავარი საწყობი (სარდაფი), ამ საწყობსაც ესტუმრა წყალი, სადაც რამდენიმე ათასი ფუთი ხორბალი, ფქვილი და სხვა სურსათი იყო მოგროვებული გადასახადის სახით და მთლად დასველდა.

წყალი მარცხენა მხრიდან დაბრუნდა აღმოსავლეთისაკენ და შევარდა ყულაიჯიშვილის და ე. დიასამიძის ნავთის საწყობში, რომელსაც დიდი ზიანი მიაყენა ერთი რკინის ბეტონი, სადაც მათი გადმოცემით ოთხასი ფუთი ნავთი იყო, მთლად გაიტაცა წყალმა. ეს ნავთი მგონი მუშათა კოოპერატივისა იყო, რომელიც როგორც გადმომცეს, მისცა აღმასკომმა.

ამავე მარცხენა მხარეზე წყალი შევარდა კასაბაშევის აბანოში და მთლად აავსო იგი. აქ ნახეს დამხრჩვალი ვირი. ვერ გავიგეთ ეს ვირი როგორ მოჰყვა აბანოში. აბანოს გვერდზე ძმ. სუნჯიანცის წისქვილსაც ესტუმრა წყალი და მთლად მიუნგრ-მოუნგრია. ეს წისქვილი მუშაობდა ელექტრონით.

ზარის დარეკვაზე და თოფის სროლაზე მართლა ხალხმა მოიყარა თავი დიდ ხიდზე და შეძლების დაგვარად ეხმარებოდნენ დაზარალებულებს, აქვე იყვნენ მილიციის მოხელეები.

მდინარე მტკვრის (ფოცხოვის) მარჯვენა მხარე. ამ მხარეზე მდებარე მდინარის წინ ბერძენ ნიკოლაევის წისქვილი გადარჩა.

ამ ბერძენ ნიკოლაევის—ქსანთოპულოს წისქვილიდან დაწყებული წყალი გადმოვარდა.

აბასთუმნის (საფოსტო) გზაზე და მთლად დაფარა. ამ გზაზე მდებარე მესხლიშვილების ბაღს წყალმა გამოუნგრია მრავალ ადგილას ქვის კედლები და შიგ ბაღში შევიდა და მთლად წყლით აავსო იგი, გააფუჭა მრავალი ხეები.

წყალი შევარდა აგრეთვე მესხლიშვილის გვერდზე ვიღაც მოქალაქის ბაღში.

შემდეგ წყალი შეიჭრა იმ უბანში, სადაც ერთ დროს სამხედრო აბანო იყო, რომელიც ახლა დანგრეულია და ყოფილი ძველი პოლიციის მეორე უბნამდე მთლად დაფარა. წყალი მრავალ ამ უბანში მცხოვრებლების სახლებში შევიდა და ზიანი მიაყენა. ამ უბანში ვე ერთ ლტოლვილ სომეხს ორი ხარი და ერთს ქართველ მოქალ. ძროხა მოსტაცა და წაიღო.

შემდეგ წყალი მიადგა კოოპერატივს „მესხეთს“ და მთლად მისი სარდაფი წყლით გაავსო და შიგ დუქანშიც კი ცოტა შევიდა.

მეორე იგრიალა აბობოქრებულმა წყალმა ერთი დაკვრით ძირიან-ფესვიანად მოიტაცა მდინარესთან რამდენიმე მანძილზე შორს მდებარე ნავთის საწყობი, რომელიც იყო ქვითკირით გაკეთებული შენობა და წაიღო.

ამ ღამეს ბევრს მცხოვრებლებს შიშის გამო არ დაუძინიათ.

ქალაქის ძველ ნაწილში, სადაც მხოლოდ ქართველობა სცხოვრობს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მცირე ახლად გადმოსახლებულ ბერძნებს, ამ პროლეტარულ მოქალაქეებს სახლებში წვიმა თითქმის ყველას ჩამოუვიდა, ვინაიდან მათი სახლები, ჰერი მიწიანია კრამიტით არ არის დახურული.

საერთოდ რამდენიმე მილიარდი ზარალი მიაყენა მცხოვრებლებს წყალდიდობამ. ასეთი წყლის ადიდება არავის ახსოვს ქალაქ ახალციხეში, თვით მოხუცებულებსაც კი.

რამდენიმე მოხუცებული კაცი დამდგარიყვნენ დიდ ხიდთან და სწყევლიდნენ ბოლშევიკებს, კომუნისტებს, რომლებიც ამბობენ ღმერთი არ არისო და ჩვენს შვილებს პატარაობიდანვე აფუჭებენ და რყვნიანო. თუ ღმერთი არ არის ვინ მოავლინა ასეთი უბედურობა. მოიყვანეთ ყველა კომუნისტები და ამ წყალს მიეცით წაიღოსო.

ის კი არ იციან, რომ წყლის ასეთი ადიდება შედეგია მისი, რომ ტყეს ანადგურებენ. ტყის რევიზორმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ამ არა სასურველ მოვლენას, მარტო ის კი არ არის საქმე მხოლოდ ჯამაგირი, შეშა ალოს და მხოლოდ თავის ოჯახზე იფიქროს და ჯიბე გაისქელოს. საჭიროა ბევრი თუ არა ცოტა მაინც იფიქროს საერთო ინტერესებზე, თავის სამსახურის მოვალეობაზე და პირნათლად შეასრულოს ის.

„ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო“ ნათქვამია,—სწორედ აქ ითქმის ახლა სახელმწიფო, საზოგადო თუ კერძო დაწესებულებების გამგეები (ზოგი ერთი) თუ ზარალი ასი მილიონია, ორას მილიონს ახდევინებენ.

ტანჯული მესხი.

თეატრი და ხელოვნება

სახელმწიფო ოპერის თეატრი.

კომიკური ოპერა „ქეთო და კოტე“.

„ქეთო და კოტე“ ვიქტორ დოლიძისა, რომლის სიუჟეტი აღებულია ავტორის მიერ ა. ცაგარლის კომედია „ხანუმიდან“, დაიდგა ხელ ახლა საოპერო თეატრის სცენაზე იმავე შემადგენლობით, როგორიც იყო წარსულ წელს—ახლები არიან მხოლოდ ვ. სარაჯიშვილი—კოტეს პარტიაში და თუმანიშვილი თავად ლევანის პარტიაში—რასაც შეაქვს დიდი ინტერესი ამ ბოლო დადგმაში.

მოქ. სარაჯიშვილმა დიდი ხანია უკვე, რაც დაიმსახურა კარგი რეპუტაცია და სახელი.

მოქ. თუმანიშვილი ახალგაზრდა მომღერალია, მან ერთი წელიწადია რაც დაამთავრა ტფილისის კონსერვატორია, პროფესორ რიადნოვის კლასი. მის შესახებ მე უკვე ნათქვამი მაქვს ჩემ წერილებში „ტრიბუნის“ ფურცლებზე, რომ ის არის მშრომელი, ნიჭიერი და საიმედო მომღერალი. მისი მშვენიერი ლირიკული ბარიტონი ვითარდება და ფერთოვდება. სასურველია მომღერლის მოსმენა უფრო საპასუხისმგებლო პარტიაში. მოქ. თუმანიშვილმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს სცენიურ გადმოცემას. მეტი სიმარტივე თამაშში და ნაკლები მოძრაობა.

დირიჟორობდა პოლიკარპე ფალიაშვილი და ეს უკვე იმის გარანტიაა, რომ აკომპანიმენტი სასურველად ჩატარდება. დადგმაში დაცულია სტილი: მაჭანკლები ხლებოვსკაია და თუმანიშვილი-მახარაძისა ზოგჯერ აჭარბებენ. კარგი იყო ისეცკი.

პ. ბებუთოვი.

წერეთლის და ორლოვას კონცერტი.

პირველ კონსერვატორიის სავსე დარბაზი, თავისებური ხალხი, რომელიც ხელოვნებაში მხოლოდ ბოშური სიმღერას სცნობს, დაუსრულებელი ტაში და ყვავილები,—აი ჩვეულებრივი სანახაობა წერეთლის და ორლოვას კონცერტებისა. ეხლაც ასეთი სურათი იყო გაორკეცებულად, ვინაიდან ახალგაზრდა მომღერალნი დღეობით ეთხოვებიან ტფილისს, და მიემგზავრებიან რუსეთში.

უეჭვოა, რომ ორივე მომღერალი ნიჭიერნი არიან. თამარა წერეთლის ხმა (დაბალი mezzo-sopranno) უფრო უკეთესია, ვიდრე ხმა ანნა ორლოვისა—მასში უფრო მეტი მუსიკალობა—სევდიანობაა. მაგრამ ანნა ორლოვა თავის მშვენიერ ხმას უფრო ხმარობს. მის სიმღერაში უფრო მეტია ბოშურობა და ტემპერამენტი.

მომღერალი თვით განიცდის სიმღერის შინაარსს—სადაც, რასაკვირველია, პირველ ადგილზე სიყვარული, დაშორება, ღალატი, მთვარე და სხვა...

რეპერტუარს შეადგენდა მთელი რიგი ძველი და ახალი ბოშური რომანსებისა და სიმღერების. ორივე შემსრულებელს ჰქონდათ დიდი მოწონება.

კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ ნიჭიერი ვიოლონჩელზე დამკვრელი ქალი სარიზუნოვა და სახელმწიფო ოპერის ტენორი მოქ. ლევიცკი, რომელმაც უზადოდ შეასრულა ჯამბაზის არია ლეონკავალისა და გრინგელის რომანსი.

პ. ბ.

საქართველოს დამოუკიდებელ მშრომელთა კავშირში

როგორც მოსალოდნელი იყო, ოქტომბრის რევოლიუციის დღესასწაულის მოახლოების გამო, კავშირის პრეზიდიუმმა მოიწვია დელეგატთა საგანგებო კრება, სადაც პირველ რიგში დასმულ იქნა საკითხი რევოლიუციონურ დღესასწაულში მონაწილეობის მიღების, რასაკვირველია, ყველანი სიამოვნებით შეეგებნენ ამ განცხადებას და გადაწყვიტეს შეძენილ იქნას დროშა და მხურვალედ მონაწილეობა მიიღონ დღესასწაულში. ყველა დელეგატებს დაევალა, რომ დანიშნულ დღეს დაარაზმონ თავიანთი ცეხები და შეიკრიბონ დანიშნულ ადგილას. მუშა-ხელოსნების ცხოვრებაში ეს პირველი ისტორიული დღე იქნება, რომელთაც პირველად გამოაქვთ წმინდა რევოლიუციონური დროშა. ტფილისის მუშა ხელოსნები ამ დღეს თავის რევოლიუციონურ ხელს გაუწვდიან უკვე ბრძოლაში ნაწრთობ პროლეტარიატს. შვიდი ნოემბერი ორ ნაირად დღესასწაული იქნება მუშა-ხელოსნებისა: პირველი—როგორც საერთაშორისო თვალსაზრისით, მეორე: როგორც თავისი საკუთარი დღესასწაული, როდესაც პირველად შეიგნეს შეკავშირების საჭიროება რევოლიუციის და თავიანთი უფლებების დასაცავად. შვიდ ნოემბერს ჩვენ უკეთესად აგრეთვე, როგორც საკუთარ ეროვნულ დღესასწაულს, რადგან ოქტომბრის რევოლიუციამ მოგვცა შემდეგი ლოზუნგები: მთელი ძალაუფლება მუშათა კლასს და სრული თავისუფლება ყველა დაჩაგრულ ერებს. ჩვენ გვინდა, რომ ეს ლოზუნგები არავინ მიაფუჩეჩოს და ისეთი ბედი არ ეწვიოს, როგორც ქრისტიანობას, რომელიც ლიპიანმა სამღვდელოებამ ისარგებლა ხალხის უვიცობით და სიბნელით და დაიმონა მუშათა კლასი. რისთვისაც ჩვენ გამოვდივართ ამ დღესასწაულში ხელმძღვანელობით საერთაშორისო იდეალებით და გვინდა ფხიზელ დარაჯად ვიდგეთ ოქტომბრის რევოლიუციის პრინციპებს და განვახორციელოთ იგი ცხოვრებაში ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ამიტომ ვიძახით: „გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას, გაუმარჯოს მუშათა კლასს, გაუმარჯოს ყველა დაჩაგრულ ერების ნამდვილ თავისუფლებას და თანასწორობას!..“

ამას შემდეგ პრეზიდიუმის თავმჯდომარე უცხადებს დელეგატებს, რომ ქალაქის აღმასკომმა სადარბაზო სექციიდან უკვე გამოჰყო განსაკუთრებული კომისია, მუშა-ხელოსნების სადარბაზო საკითხის და გადასახადების მოსაწესრიგებლად, სადაც საქართველოს დამოუკიდებელ მშრომელთა კავშირიც გზავნის თავის წარმომადგენლებს. იმედია, რომ ეს კომისია თავის დანიშნულებას გაამართლებს და ტფილისის მუშა-ხელოსნებს შეაძლებინებს დარბაზის ქირის გადახდას. ახლა მაინც მოეღება ბოლო წვრამარა ხელოსნების დუქნების ბეჭვას, ქალაქის აგენტების მიერ და ამით ერთგვარ შრომისაგან განთავისუფლდებიან აგრეთვე ზემოხსენებული კავშირის გამგეობა, სადაც ყოველ დღე აუარებელი ხელოსნები მიდიან, სიცოცხლე გამწარებულნი, დუქნების დაბეჭვის გამო. დელეგატთა კრებამ იქონია მსჯელობაში აგრეთვე ის გარემოება, რომ საწევრო გადასახადი, რომელიც დადგენილ იქნა პირველ დელეგატთა კრებაზე, 30 000 მან. ისეთი უმნიშვნელო თანხაა, რომ ამ ფულით არაფრის გაკეთება არ შეიძლება, ამიტომ დაადგინეს: გადიდებულ იქნეს საწევრო გადასახადი 50.000 მანეთამდე, პირველ ნოემბრიდან რასაკვირველია. ყველა დელეგატთა კრებების დადგენილებებს კომიტეტი და პრეზიდიუმი სისრულეში მოჰყავს. სხვათა შორის, კომიტეტის სხდომამ, რომელიც შესდგა 24 ოქტომბერს, დაადგინა: გადიდებულ იქნეს სათანადო თანხა გაზეთის გამოცემის საჭიროებისათვის, ვარლამ ჩლაიძის წინადადების თანახმად. დანიშნულ იქნეს პასუხისმგებელ რედაქტორად იგივე ვარლამ ჩლაიძე, დაევალოს კავშირის ყველა წევრებს სავალდებულოდ შეიძინონ გაზეთის ნომრისა. აგრეთვე წინა მიმდევარ კომიტეტის სხდომაზე არჩეულ იქნა კომისია შემდეგ პირთაგან: ჩხეიძე, ჩლაიძე და თეიმურაზოვი, რომელთაც დაევალათ მიმართონ მისამართით პირადად კავშირის საპატიო წევრებს თავიანთი დაუღალავი შრომისათვის და აგრეთვე გამოეცხადოთ მათ პრესის საშუალებით მადლობა—ლადო დუმბაძეს, ნ. გეიდეს, ჩოდრიშვილს, მიქაძეს და აბაბრკოვ-ტუმანოვს.

შვიდ ნოემბერს ტფილისის მუშა-ხელოსნები ტფილისის პროლეტარიატის წინაშე ფიცს დასდებენ და აღთქმას მისცემენ, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ ისინი. პროლეტარიატის გვერდით, რევოლიუციის დასაცავად, მაგრამ პროლეტარიატმა სამაგიეროდ უნდა იცნოს მუშა-ხელოსნები რევოლიუციის სრულუფლებიან წევრებად და ადგილი დაუთმონ მუშათა საბჭოში, თავიანთ გვერდით და მით უფრო გაამხნეონ ხელოსნები.

მაშ გაუმარჯოს რუსეთის სოციალისტურ რევოლიუციის საერთაშორისო მასშტაბით!

გაუმარჯოს მუშათა კლასს!

გაუმარჯოს პატარა, მაგრამ სულით ძლიერ საქართველოს ს. ს. რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ყველა ერების ნამდვილ თავისუფლებას და თანასწორობას!.

საქართველოს დამოუკიდებელ მშრომელთა კავშირის პრეზიდიუმის მდივანი

ვარლამ ჩლაიძე

ქართველ სპარსელების მოციქული

ჩვენ ისტორიიდან ვიცით, რომ 1617 წ. საქართველოდან სპარსეთის შაჰაბაზმა ქართლ-კახეთიდან ქართველები აჰყარა და სპარსეთში გადაასახლა.

გადასახლებულთა რიცხვი ზოგის თქმით იყო 100 კომლი, ზოგის 130 ათასი და მეტიც. ეს ხალხი იქმნა აყრილი და გადასახლებული ბორჩალოს მაზრიდან და ზაქათალის თემიდან. ქართველების მაგიერ იქ დაასახლეს სპარსელები და სომხები.

ამას გარდა, იმავე შაჰაბაზმა ქართლიდანაც გადაასახლა ქართველობა სპარსეთში. ქართლიდან შაჰაბაზის მამამ თამაზ ხანმა გადაასახლა 800 კომლი. საავალიშვილოდან გადაასახლა 5000 კომლი, საციციანოდან—5000 კომლი, საერისთავოდან—5000 კომლი. სხვა ცნობები ჩვენ არ მოგვყავს აქ. ყველა ეს ქართველები დაასახლეს ფერეიდანს, ხვარასანს და ასეთს შორის ადგილებში, ინდოეთსა და სპარსეთს შუა.

ფერეიდანის ხეობაში დღემდე თავი შეინახა ქართველმა ხალხმა 25 სოფელში, იქ ყველაზედ დიდი სოფელი არის მარტყოფი, სადაც 1873 წ. იყო 1000 მოსახლე. ეხლა იქ არის თურმე 1500 კომლი.

სოფელს მარტყოფში სცხოვრობს სახელოვანი გვარის კაცი, გვარად იოსელიანი. ამ გვარის კაცნი არიან მარტყოფში ხანის ღირსები. იქ მათში ყოფილა ერთი შეგნებული ქართველი, სახელდობრ სეიფულა ხანი იოსელიანი 34 წლისა, რომელსაც სპარსული განათლება აქვს მიღებული და ქართული წერა კითხვაც იცის.

ამ პატივცემული კაცისთვის მთელის ფერეიდანის ხეობის ქართველთ ხალხს მიუციათ თავიანთი მინდობილობა ხელმოწერით და თავიანთ ბეჭდის დასმით და გამოუგზავნიათ საქართველოს ხალხსა და მთავრობისთვის თხოვნით, რომ ქართველმა ერმა და მთავრობამ ყურადღება მიაქციოს მათ.

საჭიროა, რომ მათს ცხოვრებას რამე წამალი დაედვას, [illegible] წამალი იქნება მათი [illegible] ცხოვრებიდან, რომელნიც [illegible] სპარსთა ყაჩაღებისაგან ძლიერ ხშირად იდევნებიან, ან საქართველოში მათის გადასახლებით, ან სხვა გვარ დახმარებით.

სეიფულა ხანს საქართველოში წამოსვლის გზა და კვალი არ სცოდნია, მაგრამ ამ კეთილს საქმეში მას გამოსჩენია ერთი ქართველი კაცი, სახელდობრ პარმენ მანჯგალაძე, რომელიც კარგა ხანია საქართველოდამ წასულა თავის ცოლშვილით სპარსეთში და იქ თავის საქმეებს განაგებს.

ამ კაცს უდვია თავს ყოველი შრომა და ხელმძღვანელობა, ეს კაცი გამოჰყოლია თანა და ჩამოუყვანია ტფილისში. ეს ერთი კვირა გახლავს რაც ეს ქართველი სპარსელი ტფილისში სცხოვრობს, მისი ბინა: მიხაილოვის ქუჩა, სასტუმრო „ნოე“ ოთახი № 89. იმედია, რომ ამ კაცის დავალებას ქართველი ერი და მთავრობაც გამოეხმაურება და უყურადღებოთ არ დასტოვებს მას.

ზ. ჭიჭინაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

დაიკარგა პურის ვაჭრობის ნებართვა მოცემული ტფილისის აღმასკომიდან ივანე მელიტონის ძე ნასარიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.
№ 336. 1—1

რ. ს. ფ. ს. რ.
რეზინოტრესტის ტფილისის განყოფილება
სოლოლაკის ქ. № 4, ტელ. 4—86.
გამოშვებულია ბითუმი ვაჭრობისათვის დიდძალი:
კალოშები,
საბარგო ავტოს შინები,
ავტო-შინები, კამერები,
რეზინის ლანჩა,
ტექნიკური რეზინა.
აზბესტის ნივთები.
ქალაქელ მყიდველების ხელის შესაწყობად „რეზინოტრესტის“ საბითუმო საწყობთან ნოემბრის 1-იდან გახსნილია ცალობით ვაჭრობა კალოშებისა და ტრესტის მიერ დამზადებულ სხვა ნაწარმოებისა.
2—1

ტფილისის საბჭოს სასტატისტიკო საინფორმაციო განყოფილებასთან დაარსდა ცნობათა ბიურო, რომელიც აძლევს ყოველგვარ ცნობებს დაინტერესებულ დაწესებულებებს და მოქალაქეებს, ქალაქის საბჭოს ცხოვრებიდან, აძლევს მოქალაქეებს დარიგებებს და უთითებს თუ ვის რომელ ოთახში, ან რა საქმეზედ უნდა მიმართოს ქალაქის საბჭოში.
აქვე შეიძლება მიღება ქ. ტფილისის ყველა დაწესებულებების მისამართების და ტელეფონის №№.
ღარიბ მოქალაქეთ, ცნობათა ბიურო უდგენს ყოველგვარ ცნობებს და განცხადებებს.
ცნობათა ბიურო ჰყიდის საღერბო ნიშნებს და აგრეთვე საინფორმაციო სასტატისტიკო განყოფილების მიერ გამოცემულ კალენდარებს, რომელშიაც არის მოთავსებული ყველა მისამართები და ტელეფონის №№-ბი ქ. ტფილისის დაწესებულებებისა და აგრეთვე ქ. ტფილისის ეკონომიურ-პოლიტიკური ცხოვრება.
ფასი ზემოხსენებული კალენდრებისა 10.000 მან. ქ. ბონებით.
ქ. ტფილისის ატლასების ფასი 500.000 მან.
რუკა ქ. ტფილისის, შედგენილია 1922 წ., რომელშიაც არის მოთავსებული ყველა დაწესებულება ქ. ტფილისისა ფასი 300.000 მ. და ქალაქის აღმასკომის ბეჭდვითი ანგარიშები—ფასი 300.000 მან.
ცნობათა ბიურო არის მოთავსებული ქალაქის საბჭოს შესავლის გვერდზე (თავისუფლების მოედანზე).
საინფორმაციო სასტატისტიკო განყოფილების გამგე.
2—102

რუსეთ-კავკასიის სააქციონერო სავაჭრო საზოგადოება „რუსკავტორგ“
ძირითადი თანხა 800,000 მან. ოქროთი.
აცნობებს სახელმწიფო დაწესებულებებს, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და აგრეთვე კერძო დაწესებულებებს და პირებს, რომ ა/წ. ოქტ. 24-იდან აწარმოებს ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებს შემდეგი საგნებისა: ფქვილის, ხორბლის და აგრეთვე რუსეთის წარმოების შემდეგი ფაბრიკატებისა: მანუფაქტურის, გალანტერეის, ჰურჭლეულობის, ტყავისა და რკინეულობის საქონელი. იძენს რუსეთში საექსპორტოთ ამიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობის პროდუქტებს: კაკალი, მატყლი, ბამბა, ხილეულობა, ღვინო, დაფნის ფოთოლი, ცხვრის ტყავები და სხვა.
ოპერაციები ხდება ნაღდზედ, საკომისიო საფუძვლებზედ და მოსაგებში მონაწილეობის მიღების პრინციპზედაც.
საზოგადოება იღებს თავის თავზედ სამრეწველო ტრესტების და სინდიკატების სავაჭრო წარმომადგენლობას.
საზოგადოებას აქვს განყოფილება და ჰყავს წარმომადგენელი ბაქოში, ერევანში, როსტოვში და მოსკოვში.
წინადადებებით უნდა მიმართონ: ტფილისი, შტაბის ქ. № 6. ტელ. № 4—20.
გამგეობა.
№ 108 6—2.

ქალაქ თბილისს აღმასკომის გადასახადთა ბიურო
აცხადებს, რომ ხუთშაბათს 2 ნოემბერს, დღის 12 საათზე
აღმასკომის შენობაში დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ბაკზედ მდებარე პოდვოდნის შესახვევი № 6.
ბიუროს კანცელარიაში ოთახი № 50. 2—2

[illegible] 1923

საქართ. ცენტ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფიული განყოფ. № 2 სტამბა კრუზენშტერნის ქუჩ.